ახალი
# განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2020 წელი 30 სექტემბერი № 9 № 8162




განთიადი
89-ე წელი თქვენთან ერთად!


ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com




## საკრებულოს გენდერული საბჭოს ინიციატივით
გვ3.



## კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებები
გვ2.



## საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები
გვ2.



## კიდევ ერთი გამარჯვებული პროექტი
გვ2.

## რა საიდუმლოს ინახავენ მონუმენტები
გვ3.

(არჩევნებამდე და შემდეგ)
გვ3.

## „ანმყო შობილი წარსულისაგან„
გვ4.

ანუ ისევ სამშობლოს სიყვარულზე
გვ4.

## ვინ ვინ არის მუნიციპალურ სპორტში
გვ8.
გვ8.



## სოხუმის დაცემამდე
გვ6.



## ოსიაურიდან და თამარაშენიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე
გვ4.



გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

## ძუძუს კიბო (კარცინომა) განკურნებადი დაავადებაა!
გვ5.

## ისინი სტუდენტები არიან
გვ7.



## ბადრი ჯანიაშვილი
გვ8.



## ახალი სასპორტო მოედნები და დარბაზები
გვ7.



## მუნიციპალური პირველობა მასტერლიგის ეგიდით
გვ7.



## დავით გურამიშვილი — 315
გვ9.

## "გურამიშვილობის" არქივიდან ...
გვ9.



## სოფელ ბარნაბიანთკარის გზის მოასფალტება დაიწყო
გვ9.

გაზარდით ჩვენი მკითხველი!

## კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებები

კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში ა(ა)იპ "კასპის აგრარულ ბაზარში, რომელიც სადეზინფექციო სამუშაოებს სისტემატურად ჩაატარებს....



კეთილმოწყობის" სამსახურმა კასპში სადეზინფექციო სამუშაოები დაიწყო. დეზინფექცია უკვე ჩაუტარდა საჯარო სამსახ-

სადეზინფექციო სამუშაოები სისტემატურად უტარდება სამედიცინო დაწესებულებებს. სადეზინფექციო სამუშაოე-



ურის შენობებს, მგზავრთა მოსაცდელებს, სკვერებში მისასვლელ და შიდა ბილიკებს. კასპის კეთილმოწყობის სამსახ-

ბი ჩაუტარდა ქალაქის ქუჩებს.

ვირუსის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები, რომელიც



ური აგრძელებს სამუშაოებს.

უსაფრთხოების ზომები გატარდა კასპის მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა, საჭიროებისამებრ მომავალშიც გაგრძელდება.





## საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად პროექტი ზრდა საქართველოში (ZRDA ACTIVITY IN GEDRGIA) მუზეუმებისათვის გრანტების გაცემას უზრუნველყოფს.

"ზრდა"-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში კასპის მუნიციპალიტეტიდან გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის და ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი მონაწილეობდა.

კონკურსში ორივე მუზეუმის მიერ წარდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა და თითოეული მათგანი 27 000 ლარით დაფინანსდა.

პროექტებს თანამონაწილეობის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტის მერია დააფინანსებს. პროექტის ფარგლებში მუზეუმები შეიძენენ მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის მოწყობისათვის საჭირო ტექნოლოგიურად მოწინავე მოწყობილებებს, ინვენტარს, ბილბორდებს, მოამზადებენ და გამოსცემენ საინფორმაციო საშუალებებს.

საგრანტო პროგრამის მთავარი მიზანია ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ტურისტული ობიექტებისა და ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაცია. კასპის მუნიციპალიტეტი კი ტურისტული სანახაობების მხრივ უდავოდ მდიდარია. მათი პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ვიზიტორების რაოდენობის ზრდას, რაშიც თავის წვლილს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმიც შეიტანენ.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ, ხოლო ორივე სამუშაო ჯგუფს მადლობას გიხდით გაწეული სამუშაოსათვის.



„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტომატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!

## კიდევ ერთი გამარჯვებული პროექტი



ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) USAID "ზრდა"-ს პროგრამის ფარგლებში 2019 წლიდან 3 ფაზა განახორციელა.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროგრამის მიზანი ახალ- ვილები - საბავშვო-ტანსაცმლის საწარმო - 9 525 ლარი.

ღსანიშნავია, რომ სამივე ფაზის ფარგლებში მხოლოდ 14 ბიზნეს-პროექტი დაფინანსდა და მათგან 4 კასპელი ახალგაზრდის მიერ წარდგენილი პროექტია.



გაზრდების გაძლიერება იყო.

კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა, პროგრამის სამივე ფაზაში მიიღეს მონაწილეობა, წარადგინეს ბიზნესის საინტერესო

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობდა ახალგაზრდების საგრანტო კონკურსის, ტრენინგების და შეხვედრების ჩატარებას.

მერია წარმატებებს უსურვებს პროგრა-



იდეები და წარმატებასაც მიაღწიეს.

გაგაცნობთ გამარჯვებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც პროგრამით გათვალისწინებული გრანტი მოიპოვეს.

პირველი ფაზა - გიორგი ნიპარიშვილი, ხალხური საკრავების დამზადება - 10 000 ლარი. მეორე ფაზა - თაზო

მის განმახორცილებლებსა და გამარჯვებულ ახალგაზრდებს.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროგრამის მხარდამჭერები იყვნენ: აწარმოე საქართველოში, შემოქმედებითი საქართველო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ტურიზმის



მცურავიშვილი, რკინის ჭედური ნაკეთობების დამზადება - 10 000 ლარი. მეორე ფაზა - დიმიტრი ჩიჩუა, ელექტრონული მომსახურება - 5 000 ლარი. მესამე ფაზა - გვანცა და მაგდა ზაქარიაშ-

ეროვნული ადმინისტრაცია, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, კრისტალი, საქართველოს ეროვნული ბანკი და თიბისი ბანკი.

# საკრებულოს გენდერული საბჭოს ინიციატივით



2020 წლის 11 სექტემბერს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს (გენდერული საბჭოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მდივანი ეკატერინე ჯაბაური) ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან, სკოლის ექიმებთან.

შეხვედრას ორგანიზება გაუწია კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ნათია ილურიძემ.

შეხვედრა ჩატარდა კასპის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში. განიხილეს ორი აქტუალური თემა: სასწავლო წლის დაწყება და კორონავირუსის ახალი ტალღა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოწვეული იყო ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნანა ნონიაშვილი. მან ისაუბრა დაავადებათა კონტროლის




ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებზე, განახლებულ რეგულაციებზე, მოთხოვნებზე, ახალ გამოწვევებზე და პრობლემებთან ბრძოლის მეთოდებზე.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას აღნიშნულთან დაკავშირებით ესაუბრა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე.



**მეხუთე დრო**

*რუბრიკა - წელიწადის „მეხუთე დრო", ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.*

# რა საიდუმლოს ინახავენ მონუმენტები (არჩევნებამდე და შემდეგ)?

სადაგ დღეებშიც და არჩევნების მოლოდინშიც ბევრს მსჯელობენ პატიოსნებასა და ღირსებაზე, ერთგულებასა და კეთილსინდისიერებაზე... მრავალნი ამ ცნებებზე მხოლოდ ლაპარაკობენ, ღირსეულნი ამ ცნებებით ცხოვრობენ. უსაქმური, არაფრის მკეთებელი, ქაქანს მიჩვეული და ნაქურდლით სულდამძიმებული ზოგიერთი მოქალაქე (მათი რიცხვი კარგა ხანია გასცდა სასურველ ფარგლებს!) ემოციური პრაქტიციზმის შირმას ამოფარებულები დგანან და მედიდურად დაჰყურებენ თანამედროვეებს.

ისტორიას დადებითი ანუ ერის ნათელ კვალზე დამყენებელი მამულიშვილების სახელები "ახსოვს". ესეც გადარჩევის ერთგვარი მექანიზმია. ყველა სხვასთან შედარებით გლობალურ მასშტაბში მოქმედი. გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა, მეხსიერება ინახავს მხოლოდ საუკეთესოს...

ჩვენი მამები თაყვანს სცემდნენ თავის თანამედროვე, გამოჩენილ ერისკაცებს. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ცრუ ელიტარულ ჩინებს ამოფარებულ პატრიოტებსა თუ მედროვეებს. დრომ თითოეულ მათგანს წილხვედრი ადგილი უკვე მიუჩინა.

საბედნიეროდ არიან ისინიც, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ — ერის გულისა და გონების ათვლის წერტილის სათავესთან რომ დგანან და გვაიმედებენ, ძალას გვმატებენ, ათას მეერთედ გვიმტკიცებენ, რომ "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან" და "მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი".

დროისა და პიროვნების ურთიერთობის ამსახველი, თუნდაც ეს ორი კარგად ცნობილი ფრაზაც კი თვალნათლივ გვაგრძნობინებს, რომ მარადიულისა და წუთიერის ჭიდილი რაღაცით ჰგავს ბოროტისა და კეთილის შერკინებას. იქ, სადაც ირღვევა ბალანსი, უსაყრდენოდ დარჩენილ სივრცეს ღირსეული მამულიშვილები უდგამენ მხარს. კიდევ კარგი, ზეციურ საქართველოში მაინც ურყევია მარადიული ღირებულებები.

დღევანდელობამ გადააფასა მრავალი ღირებული. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თითზე ჩამოსათვლელი დარჩა ისეთი ერისკაცები, ვისაც სურს და რაც მთავარია შეუძლია, საკუთარი მოქმედებით ბურჯად შეუდგეს ჩვენს სახედაკარგულ ყოფას.



გათითოკაცებულნი და საშოვარსგადაგებულნი სარკეში აღარ ვიხედებით, ან თუ ვიხედებით, მხოლოდ ცხვირისა თუ თვალის მოყვანილობას ვარჩევთ, მის მიღმა დანახვის უნარი კარგა ხანია დავკარგეთ. მიუხედავად მომრავლებული მჭევრმეტყველისა, მოაკლდა საქართველოს მამულიშვილთა ნდობა გამხელილი აღსარება, ურომლისოდაც ქვეყნის მომავალი ძნელი წარმოსადგენია.

ყველა უკუღმართობას დროს ვაბრალებთ და მივითვლით, როგორც ნაკლებ საგანგაშოს. ალბათ ვიმედოვნებთ, რომ "დროს" დაბრალდება ყველაფერი. ეს იმ განუკითხაობის ზღვარია, რომლის იქით აღარაა ხრამი, მის მიღმა არყოფნაა.

ხშირად ვკითხულობთ, — მე რა ვქნა, ერთ კაცს რა შეუძლიაო?

წარმოიდგინეთ ილიას, აკაკის, ან ივანე ჯავახიშვილს ასეთი კითხვა გასჩენოდათ.

თბილისში მწერალთა პანთეონში თუ დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა განსასვენებელში მისვლისას ალბათ გიფიქრიათ, რომ გამოჩენილ მოღვაწეთა ძვალთშესანახი ერთგვარი სახეა ერის წარსულისა. ეს თუ არა, ის ხომ გვიფიქრია, რომ "სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი" და მის ქვეშ ნაგულისხმები მუხტი, ჩვენამდე სწორედ ღირსეული, გამორჩეული მამულიშვილების წყალობით მოვიდა.

1979 წლის კასპის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთმა ჯგუფმა რედაქციას მომართა კითხვით — შეიძლება თუ არა, რომ ქალაქში გვქონდეს რაიონის გამოჩენილ შვილთა სასაფლაო? წერილში ისინი ადასტურებენ, რომ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ასეთის არსებობა სავსებით მისაღები, მოსაწონი და სასურველია. აქვე დასძენდნენ, რომ თუ სასაფლაოს რეალურად არსებობა უწერია, მათ აქვთ სურვილი და წინადადება, რომ ამ სასაფლაოს პირველი ბინადარი იყოს მათი ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი ანა ეძგვერაძე.

რედაქცია მიესალმა ამ აზრს იმ უტყუარი ცოდნის გამო, რომ სამშობლოსთვის დროთა კავშირი ყველაზე მტკიცე და საიმედო გახლავთ.

რაიონის გამოჩენილ მოღვაწეთა ძვალთშესანახის დაარსების საკითხი ერთხელ უკვე დაისვა გაზეთის ფურცლებზე. საზოგადოება ერთხმად დადებითად გამოეხმაურა წამოწყებას, მაგრამ, როგორც მრავალი საჭირო, სასურველი სიახლე დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების მსვლელობისას გაზეთმა დროებით შეაჩერა საკითხი. დღეს, გამოვხატავთ რა როგორც ქალაქის, ასევე მუნიციპალიტეტის საზოგადოების უმეტესობის აზრს და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობაც მხარს გვაძლევს, კიდევ ერთხელ, მივმართავთ თხოვნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მხარი დავუჭიროთ ინიციატივას! დაარსდეს რაიონის გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონი, გამოიყოს ადგილი და შეიქმნას კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებას.

უდაოა, ძვალთშესანახი ჩვენი რაიონის მომავალი თაობებისათვის რწმენის სიმბოლოდ იქცევა. ისინი იზრუნებენ, რომ მხარი უსწორონ მათ, ვინც მამა-პაპათა სათქმელის ხორცშესხმა შეძლო.

დრო - უტყუარი და უღალატო დარაჯი კაცადკაცური ბუნებისა დღენიადაგ გვაძლევს შანსს ვიმოქმედოთ შვილებისთვის, მომავლისთვის, სამშობლოსთვის.

ვიცით, დღეების რიგი თავისდაუნებურად უკუაგდებს ყალბს, ნათამაშებს, უგულოსა და უსრულს. ერთი სიტყვით, მხოლოდ დროით გამოცდილს შეიძლება ენდო. თუ ზემოთქმულს გაიაზრებ ფსალმუნში წაკითხული - "ათასი წელი წინაშე თვალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე" შეიძენს საჭირო მუხტს და შენს სიმშვიდეში მიხვდები რომ ჭეშმარიტად - "უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს რაი მიყოს მე კაცმან?" მართალი, რომელსაც მწე და მფარველი მხოლოდ ღმერთი ჰყავს, თანდაყოლილი გულუბრყვილობით ფიქრობს, რომ ყველა წინაღობას გადალახავს ... და სწორედ მნიშვნელოვან მომენტში ავიწყდება, რომ მელა-ტურათა რაოდენობა მათემატიკური პროგრესიით იზრდება ჩვენს გარშემო. სამწუხაროდ ვიცით, ყველა თავის სარგებელს ეძებს მატერიალურსა თუ უსაგნოს, მაგრამ მაინც სარგებელს.

გამოგვეხმაურეთ, რამდენად მისაღებია ადგილობრივ დონეზე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსება? თქვენი აზრით ვინ შეიძლება დაიკრძალოს იქ, დაასახელეთ პირველი სამეული; როგორ შედგენილმა ჯგუფმა და რა პრინციპით უნდა გასცეს თანხმობა პანთეონში დაკრძალვაზე? როგორ იქნება დაცული პანთეონი ჰიპერაქტიური ჭირისუფლებისაგან?! - ამ ბოლო კითხვის არსებობა დამოკლეს მახვილივით სულ იტრიალებს სამართლის თავზე, მაგრამ სიმართლეს ვინ მორევია? თუმცა, ჩემმა მეგობარმა ორი დღის წინ შემახსენა დავით IV მხოლოდ საუკუნეების შემდეგ აღიარეს აღმაშენებლად...

ყველა კითხვაზე პასუხის პოვნა შეუძლებელია, არც ღვაწლის ზუსტი სასწორი არსებობს და მაინც... იქნებ საქმიანად ვიმოქმედოთ, ბატონებო!

ნ. მერებაშვილი.

# „აწმყო შობილი წარსულისაგან„ ანუ ისევ სამშობლოს სიყვარულზე

დასასრული

ქვევრების გვერდით დადასტურდა ბრტყელი კრამიტი, რომელსაც ქვევრების სარქველებად იყენებდნენ. ეს სარქველები ქვევრების გვერდით იყო, ზედ არაფერი ეფარა. რაც იმას ნიშნავს, რომ ქვევრიდან ღვინო ამოუღიათ.

საწნახელის იატაკზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ყურძნის წიპწები. მეცნიერებმა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ დღეს ცნობილი ჯიშებიდან ყველაზე მეტად უახლოვდება ქართლში გავრცელებულ საფერავს.

ნელი ნიაზაშვილი — მუნიციპალიტეტი, სადაც ჩვენი მუზეუმი მდებარეობს



უძველეს ანტიკურ ხანას ეკუთვნის, აქ ძველთაგანვე სახლობდა ადამიანი და ტოვებდა თავის კვალს, რომლის უდიდესი

**დასასრული. დასაწყისი "ახალი განთიადი" №8**

ნაწილი მიწისქვეშაა მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების სახით... ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ქვის ხანა ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია, რომელიც ასეული ათასი წლების მანძილზე ვრცელდებოდა დედამიწაზე. ქვის ხანის არქეოლოგიური მასალა საკმაოდ საფუძვლიანად არის გამოკვლეული კასპის რაიონის სხვადასხვა ადგილებში, კერძოდ, გრაკლიანის გორაზე, გუდალეთის მიდამოებში, ხოვლეში.

ქვის ხანის შემდეგ საქართველოში ჩნდება ბრინჯაოს ხანა, რომელიც განვითარების რამდენიმე საფეხურს შეიცავს, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს. ჩვენს ტერიტორიაზე გამოვლენილი მასალა მეტყველებს იმაზე, რომ წინა პერიოდთან შედარებით აქ დაწინაურებულია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დარგები, განვითარებულია ხელოსნობის ზოგიერთი დარგიც, კერძოდ კი მეთუნეობა.

მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრიდან გავრცელდა "თრიალეთის კულტურა" — დამახასიათებელ ძეგლებად ითვლება "გორასამარხები" და "ყორღანული სამარხები", ეკუთვნოდათ ტომთა ბელადებს და გვაროვნულ არისტოკრატიას. "ყორღანული" სამარხების გათხრებისას ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არა მარტო თიხის ჭურჭელი, არამედ ფერადი ლითონებისა და ძვირფასი მეტალებისგან დამზადებული სამკაულ-იარაღები.

ფრიად ყურადსაღები არქეოლოგიური ძეგლი გახლავთ გვიან ბრინჯაოს ადრე რკინის ნამოსახლარი "ხოვლე-გორა", რომელიც მდებარეობს სოფელ ხოვლიდან ორიოდე კილომეტრის მოშორებით. ძეგლი არის კომპლექსური, შედგება ციტადელის, სამაროვანის, ნასოფლარის და როგორც სახელოსნოს ასევე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობისაგან... გორა გაითხარა 1954-1961 წლებში ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.



ხატია ხორგუაშვილი — ცნობილია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმები წარმოადგენენ სამუზეუმო სფეროს ყველაზე გავრცელებულ ჯგუფს, რომელშიც დაცულია სხვადასხვა სახის დოკუმენტური მტკიცებულება გარკვეული ტერიტორიის ან დასახლებული პუნქტის შესახებ... მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იკვლევს მასში დაცულ კოლექციებს, შეისწავლის მხარის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, აწარმოებს არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს, ატარებს სამეცნიერო კვლევებს, აწყობს სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებს და ფორუმებს.

საკუთარი საქმიანობისა და პროფილის მიხედვით, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მიეკუთვნება სამუზეუმო სფეროს ყველაზე გავრცელებულ ჯგუფს. თვად ტერმინი "მხარეთმცოდნეობის" მუზეუმი გაჩნდა მეოცე საუკუნის შუა ხანებში. ერთი სიტყვით, 1920-იან წლებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურა განსაკუთრებით განვითარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, 1930 წლიდან კი, ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების სტრუქტურა. 1950-1960-იანი წლები გამოირჩეოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების აღორძინებით... საქართველოში მხარეთმცოდნეობის მუზეუმების რაოდენობა 31 აღწევს, შიდა ქართლში კი, მსგავსი ტიპის 10 მუზეუმია. აქ დაგროვილმა მდიდარმა და მრავალფეროვანმა არქეოლოგიურმა მასალამ, რომელიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება, შექმნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფუძნების წინაპირობა.

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაარსდა 1960 წლის 22 ივნისს რაიონის მშრომელთა მოთხოვნით, მისი პირველი დირექტორი გახლდათ დურმიშხან კაპრაშიძე, ხოლო 1961 წლიდან ამ კულტურულ დაწესებულებას სათავეში ჩაუდგა მწერალი გიორგი ხორგუაშვილი, 2005 წლიდან დღემდე მუზეუმს უძღვება გიორგი ჩადუნელი.

მწერალ გიორგი ხორგუაშვილის დიდი მცდელობითა და უშუალო მონაწილეობით დროის სულ მცირე მონაკვეთში შეგროვდა 3.500-ზე მეტი ექსპონატი, რომლის საფუძველზე 1968 წელს გაიხსნა პირველი ექსპოზიცია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში მუზეუმის კოლექციები ივსებოდა სამუზეუმო ფასეულობებით, სხვადასხვა სახის ნივთებით, რომელთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენს კასპსა და მის შემოგარენში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, მათი დიდი ნაწილი ამჟამად დაცულია ჩვენი მუზეუმის ფონდებში, გამოფენილია მუდმივმოქმედ ექსპოზიციებზე და ნივთების გარკვეული ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე ივ. ჯავახიშვილის სახელობის არქეოლოგიისა და ისტორიის ინსტიტუტში.

2009 წლიდან კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სხვა მუზეუმებთან / ხოვლის, ლამისყანის, მაზნიაშვილის, ომარ კელაპტრიშვილის/ ერთად შეუერთდა მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებას /დირექტორი გივი მელაძე/. 2013 წლიდან კი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გიორგი ხორგუაშვილის სახელს ატარებს.

ამჟამად კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის მასალები, თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, შუა საუკუნეების თიხის ჭურჭელი, ეთნოგრაფიული და სხვადასხვა საარქივო, დოკუმენტური მასალა.

# ოსიაურიდან და თამარაშენიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე

Prince Matchabelli ნიკოლოზ ბარათაშვილის დის შვილიშვილი და ვანო მაჩაბლის ძმის შვილი იყო.

სურათზე ნიკოლოზ ბარათაშვილის სამი და: ბარბარე, ნინო და სოფიო ბარათაშვილები და დის-ბარბარეს შვილები არიან აღბეჭდილნი.

მარცხნიდან პირველია ბარბარე ბარათაშვილი (ოსიაურის თავადის დიმიტრი ვეზირიშვილის ცოლი, იქორწინეს 1856 წელს), მერეა ნინო ბარათაშვილი, გიორგი (ბარბარეს შვილი), შემდეგ კი სოფიო ბარათაშვილია.



ნიკოლოზ ბარათაშვილის დები და დისწულები. სხედან: ბარბარე, ნინო, გიორგი /ბარბარეს შვილი/, სოფიო; დგანან: ტასო და ნინო /ბარბარეს შვილები/.



ფეხზე დგანან ბარბარეს შვილები ტასო და ნინო ვეზირიშვილები.

ბარბარეს ოჯახს ოსიაურში ხშირად სტუმრობდა თურმე მამა-მელიტონ ბარათაშვილი (მელიტონს ცოლი ეფემია 1849 წელს გარდაეცვალა). ის 1860 წელსაც ოსიაურში იყო შვილის ოჯახში და მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე. ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის საფლავი დღემდე ხაშურის რაიონშია.

რაც შეეხება ბარბარეს შვილს ნინოს, ის თამარაშენში გათხოვდა და ცოლად გაჰყვა ივანე მაჩაბლის იურისტ ძმას ვასილს. მათ 1885 წელს შეეძინათ ვაჟი გიორგი.

გიორგის დედას ნინოს ქოლერა შეეყარა და გიორგი 7 წლის იყო, როცა დედა ნინო ვეზირიშვილი გარდაიცვალა.

გიორგი მაჩაბელი გერმანიაში გააგზავნეს სასწავლებლად, მერე იტალიელი ცოლი შეირთო, ბევრი თავგადასავალი გადახდა და საბოლოოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა. მან შექმნა პრინც მაჩაბელის სუნამოების იმპერია.

გიორგი მაჩაბელი ფილტვების ანთებით, 1935 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

პროდუქცია მისი დამფუძნებლის სახელით და რეცეპტით დღესაც გამოდის და საფირმო ნიშანიც იგივეა - ქართულ-ჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინები.

დღესდღეობით პრინცი მაჩაბელი ითვლება მსოფლიო პარფიუმერიის კლასიკად.

ერთმა სურათმა ოსიაურიდან თამარაშენში და მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში გვამოგზაურა.

*ჟან შარდენის ქართულ-ფრანგული აკადემია.*

# კანის სოკო (პიტირიაზი) განკურნებადი დაავადებაა!



გათანამედროვებულმა თუ მუტაციაში მყოფმა მიკრობებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა ვიყოთ, პერმანენტულად მოვძებნოთ გზა და საშუალება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ყველაზე ხშირად გავრცელებული სოკოვანი დაავადება არაერთი ადამიანის ფიქრის საგანია.

რას გვირჩევენ და როგორ მკურნალობენ ამ დაავადებას?

პაციენტები ხშირად ხალხურ მედიცინას მიმართავენ. საზოგადოდ პიტირიაზი ყველაზე გავრცელებულ დერმატოლოგიურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. თუ სტატისტიკას ვენდობით, კანის მიკოზი მსოფლიოს მოსახლეობის მეხუთედს აქვს. ყველაზე ხშირად ნაირფერ პიტირიაზს წააწყდებით.

თუ პაციენტი დროულად არ ჩაიტარებს მკურნალობას, კანის სოკო მალევე დააზიანებს კანს და შეიძლება მთელ სხეულს მოედოს.

მკითხველისათვის საინტერესო კითხვებს პასუხობს ჩვენი თანაქალაქელი ხალხური მედიცინის სპეციალისტი, მრავალსაუკუნოვანი, მემკვიდრეობის გზით გადაცემული უძველესი ქართული ხალხური სამკურნალო საშუალებების მცოდნე მაია მეტრეველი:

ნაირფერ პიტირიაზს იწვევს სოკო, რომელიც კანის ზედა შრეს აზიანებს. დამეთანხმებით, რომ ყოველგვარი დაავადების საწინააღმდეგო საუკეთესო იარაღი ცოდნაა.

ნაირფერი პიტირიაზი კანის სოკოვანი დაავადებაა. ის უმთავრესად კანის ზედაპირულ, რქოვანა შრეს აზიანებს. ნაირფერი პიტირიაზი მთელ მსოფლიოში საკმაოდ არის გავრცელებული. არც საქართველოა გამონაკლისი. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კლიმატური პირობები ხელსაყრელიც კია ამ დაავადების განვითარებისთვის, ვინაიდან ნაირფერი პიტირიაზი თბილი და ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნების დამახასიათებელი პათოლოგიაა. ის ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეიძლება დაემართოს, თუმცა უფრო ხშირად თინეიჯერობის პერიოდში გვხვდება, რაც ამ ასაკში საოფლე და ცხიმის ჯირკვლების მომატებული აქტიურობით არის განპირობებული.

სოკოს განვითარებას ხელს უწყობს ოფლიანობა, ვიტამინების ნაკლებობა, იმუნიტეტის დაქვეითება, კანის ტრავმული დაზიანება, დიდი რაოდენობით ანტიბიოტიკების მიღება პერორარული (დალევა) გზით.

ნაირფერი პიტირიაზი გადამდები დაავადებაა. მართალია, სამედიცინო ლიტერატურაში წააწყდებით მოსაზრებას, რომ ის ერთი ადამიანისგან მეორეს არ გადაეცემა, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია. ნაირფერ პიტირიაზს კერატომიკოზების ჯგუფის წარმომადგენელი სოკო იწვევს. ინფექციის წყარო დაავადებული ადამიანია.

გადაცემისთვის დაავადებულთან მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტია საჭირო. კანის ეს პრობლემა უმთავრესად ტანისამოსის, თეთრეულის, პირსახოცის მეშვეობით გადაედება, ზოგჯერ - სამკაულის მეშვეობითაც.

დაავადება ქრონიკულად მიმდინარეობს. მისი ძირითადი სიმპტომი მცირე ზომის (დაახლოებით ერთთეთრიანისოდენა) მომრგვალო, მოყავისფრომოთეთრო მკვეთრსაზღვრებიანი ლაქებია, რომლებიც ზოგჯერ იქერცლება, ზოგჯერ კი შეერთების ტენდენციას ამჟღავნებს და ზედაპირი ამობურცული ხდება. გამონაყარი უმთავრესად ტანის ზედა ნაწილზე - მხრებზე, გულმკერდზე, კისერსა და ზურგზე ჩნდება. პროცესი ერთეული ლაქების გაჩენით იწყება;

თუ პაციენტმა არ იმკურნალა, ლაქები შესაძლოა გამრავლდეს, გაიზარდოს და კანის უფრო და უფრო დიდი არეები მოიცვას. ზამთრობით ეს დაავადება იმალება, ნაკლებად არის გამოხატული (რადგან ტემპერატურა დაბალია და ადამიანი მაინცდამაინც არ ოფლიანდება), ხოლო ზაფხულობით, როცა მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია, ხელახლა იჩენს თავს.

ნაირფერი პიტირიაზის გამომწვევი სოკო, როგორც უკვე აღვნიშნე, ეპიდერმისში - კანის ზედაპირულ შრეში - ბინადრობს, მრავლდება და აქ არსებულ უჯრედებს, მათ შორის - მელანოციტებს, აზიანებს. მელანოციტები კი, მოგეხსენებათ, მზის სხივების ზემოქმედებით კანის მუქი ფერის განმსაზღვრელი პიგმენტის, მელანინის წარმოქმნაში მონაწილეობს. ამიტომ გარუჯვისას კანის დაზიანებული უბნები არ მუქდება და ნამზეურის ფონზე ჰიპოპიგმენტური (ღია ფერის) ლაქები რჩება.

როცა გამონაყარი ძალიან დიდ ფართობს მოიცავს, მას შესაძლოა სუსტი ქავილიც დაერთოს. დროთა განმავლობაში გამონაყარი ფერს იცვლის და მის ადგილს ჰიპერპიგმენტური, მოყავისფრომოთეთრო ლაქები იკავებს.

ალბათ ხვდებით, რომ პიტირიაზი წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ საშიშროებას დაავადების გვიან სტადიებზე. გახანგრძლივებულმა პიტირიაზმა შესაძლებელია ალერგიული რეაქციის პროვოცირება მოახდინოს, დაასუსტოს იმუნიტეტი და მიგვიყვანოს ქრონიკული დაავადებების გამწვავებამდეც. ანუ, თუკი თქვენ გაქვთ რაიმე ქრონიკული დაავადება, სოკოს განვითარების შემთხვევაში, მათი გამწვავების ალბათობა რამდენჯერმე იზრდება!

თუ პაციენტი არ იმკურნალებს, შეიძლება ლაქები მთელ კანს მოედოს და აუჭრელდეს, თან მუდმივმა ქავილმაც შეაწუხოს. დაავადების ადრეულ სტადიაზე თუ არ მივიღებთ შესაბამის ზომებს, სოკო გავრცელდება ყველა გარეგან ორგანოზე და დასუსტებული იმუნიტეტის ფონზე, მოახდენს ინფექციური გართულებების განვითარების პროვოცირებას.

სოკოვანი ინფექციები ორგანიზმიდან თავისით არ გამოდის. მოგეხსენებათ, რომ უამრავი ექიმი და კლინიკა ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობენ. ისინი პაციენტებს ხელსაყრელ ძვირადღირებულ მედიკამენტებს სთავაზობენ. იმ ადამიანებს, რომლებიც იყენებენ არასწორად დანიშნულ პრეპარატებს, არც თუ ისე იშვიათად უჩნდებათ საშინელი ალერგია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან და რადგანაც ორგანიზმის ტოქსიკური მოწამვლა იწყება ავტომატურად მას შემდეგ, რაც წაისვამთ ცუდად შერჩეულ სოკოს საწინააღმდეგო საშუალებას კანის გარკვეულ ნაწილზე. უბრალოდ ზოგი მეტად მგრძნობიარეა, ზოგი კი - ნაკლებად.

პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ კანის სოკოს წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხური მედიცინა უბადლო ლიდერია! ჩემმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სწორედ შერჩეულ ხალხურ რეცეპტს, რომელსაც ექიმი სპეციალისტის უშუალო დაკვირვების ქვეშ ლაბორატორიულ პირობებში ამზადებენ, ვერანაირი სააფთიაქო მედიკამენტი ვერ შეედრება!

იმისათვის, რომ განვკურნოთ სოკო, უნდა მოვკლათ მისი სპორები და შევაჩეროთ სოკოს ბადის გავრცელება ორგანიზმში. სოკოს საწინააღმდეგო ნებისმიერი სააფთიაქო საშუალება იძლეოდა მხოლოდ დროებით კოსმეტიკურ ეფექტს.

რეცეპტი, რომლის გამოყენებითაც (საგვარეულო, მრავალსაუკუნოვანი რეცეპტია) მე ვამზადებ კანის სოკოს სამკურნალო საშუალებას, ნამდვილად უბადლოა და ძალუძს სოკოს სპორების შეჩერება, რითაც უშლის ხელს მის გამრავლებას. აღნიშნული საშუალება, რომელიც სითხის, საპნის და მალამოს (ეს გახლავთ სრული კურსი) სახით არის წარმოდგენილი, არის 100%-ით ნატურალური, არაალერგიული პროდუქტი. მის შემადგენლობაში მხოლოდ ბიო პროდუქტები შედის და საკმაოდ სწრაფად ეფექტურ შედეგსაც იძლევა. მკურნალობის კურსის ჯეროვნად ჩატარების შემთხვევაში, განკურნების გარანტია 100%-ია!

ჩემს პრაქტიკაში ამ საგვარეულო, ხალხური საშუალების გამოყენებით უამრავი პაციენტი განვკურნე! აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კანის მიკოზის დროული მკურნალობა მისი გამწვავების რისკებს გამორიცხავს და მარტივად რომ გითხრათ, მკურნალობის გადადებას აზრი არ აქვს, პირიქით, საზიანოც კია...

ჩემს წინაპრებს სწამდათ, რომ ბუნებაში ყველაფრის რეცეპტი არსებობს. უბრალოდ ამ რეცეპტებს აღმოჩენა და ჭკვიანური გამოყენება უნდა. კანის სოკოს ეს რეცეპტი დიდი ბებიისგან გადმომეცა მემკვიდრეობით. მასაც ბებიისგან ჰქონია მიღებული... ასე გადადის თაობიდან თაობაზე ამ შესანიშნავი საშუალების საიდუმლო.

რაც შეეხება კურსს, ეს ძალიან ინდივიდუალურია და კანზე არსებული დაზიანების მიხედვით განისაზღვრება. რა თქმა უნდა, დაინტერესებულ ადამიანებს ამის თაობაზე სათანადო კონსულტაციის მიღების საშუალება ექნებათ. ერთის თქმა შემიძლია - ამ საშუალებამ ათასობით ადამიანი განკურნა! შედეგები იმაზე მეტად კარგია, ვიდრე პაციენტებს ჰგონიათ ხოლმე. დღემდე ვიღებ მრავალი წლის წინ განკურნებული პაციენტების მადლობის წერილებს.

თქვენს მკითხველებს რჩევის სახით ვეტყოდი, რომ კანის სოკოს პრობლემის მოგვარება, ისევე, როგორც ჯანმრთელობის სხვა საკითხების დროული გადაწყვეტა, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია!

უყურადღებოდ დატოვებულმა ნებისმიერმა ჩივილმა, შესაძლოა, ადამიანი სავალალო შედეგამდე მიიყვანოს. ეს განსაკუთრებით სოკოვან დაავადებებს ეხება! ამასთან, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს სამკურნალო საშუალება გამოიყენება მხოლოდდამხოლოდ ნაირფერადი პიტირიაზის სამკურნალოდ! გთხოვთ, პროდუქტის შეკვეთამდე ეს გაითვალისწინოთ.




✦ მაია მეტრეველი მოღვაწეობს ფიტოთერაპიის განხრით. მის სახელს უკავშირდება ათამდე უძველესი უებარი მალამოს რეცეპტის აღორძინება და დამზადება.სამუშაო გამოცდილება უკვე 25 წელს ითვლის.

ჩვენს მკითხველს შეუძლია საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მიმართოს ქალბატონ მაიას გაზეთის საშუალებით.

# სოხუმის დაცემამდე





**აფხაზეთში, საბრძოლო ოპერაციების დროს დაჭრილი კასპის ბატალიონის ბიჭების და არა მხოლოდ მათი სიცოცხლის გადასარჩენად თავდაუზოგავად იბრძოდა კასპელი ექიმი ნიკოლოზ (კუსა) სამებელაშვილი.**

**ექიმი-ნევროლოგი კიდევ ერთხელ უდიდესი გულისტკივილით იხსენებს ომის წინა ხაზზე გადატანილ ოცდაშვიდი წლის წინანდელ ამბებს:**

სოხუმის დაცემამდე სამი თვით ადრე, უფრო ზუსტად კი, ივლისის დასაწყისში კასპის კომისარიატში გამომიძახეს, ჩემს გარდა, იქ კიდევ შვიდი ექიმი იყო, მაგრამ რატომღაც მე წამიყვანეს სოხუმში... მოვხვდი მეორე საარმიო კორპუსის შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ზაურ უჩაძე. აღნიშნული საჯარისო ქვედანაყოფი განთავსებული იყო სოხუმის ერთ-ერთ რაიონში (სინოპის) და ფაქტიურად ომის წინა ხაზს აკონტროლებდა.

ჩვენი სასწრაფო დახმარების მანქანები აღჭურვილი იყო უმაღლეს დონეზე, ყველა საშუალება გაგვაჩნდა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის, რაც არის გათვალისწინებული ომის დროს...

ზაფხულში, მდინარე გუმისთაზე გამართულ უმწვავეს საბრძოლო ოპერაციებში იყო დიდი დანაკარგები, თუმცა, ჩვენები მედგრად იცავდნენ სოხუმის მისადგომებს, იგერიებდნენ ჩრდილოკავკასიელი ბანდფორმირებების შემოტევას. მაგრამ მაინც შეძლეს მათ მდინარე გუმისთის გადმოლახვა.

მდინარის სანაპიროსთან, ერთ-ერთი მძიმე შეტაკების დროს სრულიად მოულოდნელად, ჩემი სამედიცინო ეკიპაჟით აღმოვჩნდი კასპის ბატალიონთან. სწორედ მაშინ ვნახე პირისპირ ტარიელ შარიფაშვილი, მთხოვა, იქნებ, მოახერხო ჩვენს ბიჭებთან ყოფნაო. მას შემდეგ კასპის ბატალიონს არ მოვცილებულვარ, ცხადია, სხვა ცხარე წერტილებსაც ვაკონტროლებდით და ვეხმარებოდით...

აგვისტო იწურებოდა, მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავე და უიმედო ხდებოდა. სოხუმის ვაგზლის მისადგომებთან ხელჩართულ ბრძოლებს უმკლავდებოდნენ ჩვენი ბიჭები. პირველად სწორედ აქ დაიჭრა ტარიელ შარიფაშვილი, ეს იყო კანქვეშა გამავალი მსუბუქი ჭრილობა, ყოველ დღე ვუკეთებდი გადახვევებს. მას წამითაც არ მიუტოვებია იქაურობა. 24-25 სექტემბერი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო კასპის ბატალიონისათვის და არა მარტო მათთვის. ერთ-ერთი ინტენსიური შეტევის დროს კი, მეორედ და სასიკვდილოდ დაიჭრა ტარიელი. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც დაიჭრა, პირველად მხარში მოხვდა ტყვია, დაახლოებით, 15-20 მეტრის დაშორებიდან, მოფარებული ვუყურებდით ყველაფერს, დავინახე, თუ როგორ მიხოხდა იგი ევკალიპტის ხესთან, იქიდან იძლეოდა განკარგულებებს, მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლებს ამხნევებდა, ჩვენგან კი, ვერავინ ახერხებდა მასთან მისვლას, იმიტომ, რომ შეუჩერებლად, დამიზნებით ისროდნენ ჩვენი მიმართულებით. ირმისა ტყეშელაშვილმა მაინც გარისკა, დააპირა მასთან მისვლა, მაგრამ ისიც მძიმედ დაიჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტარიელის მიმართულებით ისევ მოხდა გასროლა და ამჯერად, აფეთქების ხმაც გაისმა და ნაღმის ნამსხვრევებმა მარცხენა ხელი წააცალა, მწვავე ანემიით ანუ სისხლდენით გარდაიცვალა ტარიელი.

გუმისთასთან კიდევ ბევრ მწვავე ბრძოლას იგერიებდნენ ჩვენი მებრძოლები. სოფელ აჩადარასთან იყო ტურისტული კემპინგი, სადაც გამაგრებული იყო ქართული ქვედანაყოფი. გამეტებით ესხმოდნენ ჩვენებს, გამოგვყავდა დაჭრილები და დაშავებულები, სასწრაფო დახმარების მანქანებით მიგვყავდა აგუძერის ჰოსპიტალში ან სოხუმის საავადმყოფოში.

მახსოვს, იყო შედარებით მშვიდი ე.წ. შერიგების პერიოდები, როდესაც მინელდებოდა სროლები, მაშინ ხდებოდა დანაღმული ტერიტორიების გაწმენდა. ერთ-ერთი განაღმვის დროს ჩვენს მესანგრეს, სოხუმელ ბიჭს ჩემს თვალწინ აუფეთქდა ნაღმი, ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ საწყალმა ახალგაზრდამ ორივე ფეხი დაკარგა, რა თქმა უნდა, მაშინვე აღმოვუჩინეთ პირველადი სამედიცინო დახმარება, მერე, სოხუმის პირველ საავადმყოფოში გადავიყვანეთ.

... ყოველ კვირას იმართებოდა თათბირები, სადაც გენერალ გომელაურს ანგარიშს ვაბარებდით, თუ რამდენი მებრძოლი ექვემდებარებოდა ევაკუაციას, რამდენი იყო მწყობრში, მოკლედ, დაწვრილებით იხილებოდა ყველა საკითხი. ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა გენერალ გია ყარყარაშვილსაც, რომელიც ხშირად ესწრებოდა ასეთ ხანმოკლე შეხვედრებსა და თათბირებს.

ერთხელ, სოხუმში, როდესაც ჩვენი ავიაგამანადგურებელი უტევდა რუსებისა და აფხაზების ერთ-ერთ საჯარისო შენაერთს, დავინახე, თუ როგორ ესროლეს ჩვენს თვითმფრინავს, ჰაერში გაიხლიჩა, დაიფშვნა ბომბდამშენი, რომელსაც მართავდა ქართველი მფრინავი ნიზამი ცერცვაძე. მეხსიერებიდან არ ამომდის სოფელ ლინდავასთან გამართული უმწვავესი ბრძოლები, ლინდავა ის სოფელია, რომელიც დასახლებული იყო ბალტიისპირელი წარმომავლობის მცხოვრებლებით. სწორედ აქ იყვნენ დიდი რაოდენობით დაჭრილები და დაშავებულები, მათ შორის, ქართული საჯარისო შენაერთების წარმომადგენლებიც.

ბოლოს, მდინარე ცხენისწყალთან გამართულ ბრძოლებსაც შევესწარი, ძალიან უჭირდათ ჩვენს ბიჭებს, გამოგვყავდა დაჭრილი მებრძოლები, ფაქტიურად ჩვენები უკან იხევდნენ...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო...

... მერე კი, სოხუმი დავკარგეთ...

ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის გაცილება აფხაზეთში 1993 წელი, 18 მარტი









**გაზეთი "ახალი განთიადი" მადლობას უხდის ვანო ჯახუას მოწოდებული ფოტოებისათვის.**



## დაიწყო ახალი სასწავლო წელი

# ისინი სტუდენტები არიან

ისინი, ვის შესახებაც ქვემოთ უნდა გიამბოთ, სპორტზე მიზანსწრაფულად შეყვარებული ახალგაზრდები არიან და სხვადასხვა სახეობაში გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს, ვინ — ჭიდაობაში, ვინ — კალათ-



ბურთში, ზოგმა კი ძალოსნობაში. თბილი სიტყვა მათზე "ახალი განთიადის" ფურცლებიდანაც არაერთხელ გვითქვამს და სოციალური ქსელის მეშვეობითაც. მაშ, ამჯერად, ჩვენი ყურადღება რითი და რომელი საერთო ნიშანდობლივი ქმედებით მიიქციეს?

აი, რით: მათ ცხოვრებაში არანაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, სულაც 4-5 წელზე რომაა გათვლილი, ვიდრე ეს გახლავთ ჭაბუკურ თუ ახალგაზრდულ ასაკში ერთჯერადად გაჩემპიონება, ანდა პრიზიორობა, საქართველოს მასშტაბის სასპორტო შეჯიბრებებში, გნებავთ, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე.

ისინი — სპორტში რჩეული და წარმატებული ჭაბუკები და ქალიშვილები — 2020 წლის ზაფხულში გ ა ს ტ უ დ ე ნ ტ დ ნ ე ნ ! წლევანდელი სექტემბრიდან საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აუდიტორიებსა და ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ე ბ შ ი შეაბიჯეს, საკუთარი სასპორტო მიზნები დროებით დაითმინეს და აკადემიური ცოდნის მისაღებ იმ გზას დაადგნენ, რომელიც აქამდე არაერთ ქართველ სახელოვან სპორტსმენს გაუვლია.

წარმოგიდგენთ კასპელი გასტუდენტებული სპორტსმენების ერთი ჯგუფის ვინაობას:

ბაქარ ერაშვილი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი,

ანი ადუაშვილი — საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი,

ვასილ გვიმრაძე, გიგა გელაშვილი, გიორგი კრუპნოვი — საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი,

გასტუდენტებას ვულოცავთ, ასევე, თამაზ მერებაშვილს, ფრიდონ მჭედლიშვილს ... სიის გაგრძელება, ცხადია, კიდევ შეიძლება. სპორტული დაოსტატების გზაზე შემდგომ წარმატებას ვუსურვებთ, ასევე, 16 წლის კასპელ ჭაბუკს, ტარიელ თაბუაშვილს, რომელმაც შესარჩევი რთული ეტაპი წარმატებით გაიარა და ჩაირიცხა თბილისის საკალათბურთო პროფესიული კლუბი "დინამო თბილისის" შემადგენლობაში.

# ახალი სასპორტო მოედნები და დარბაზები



მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში (ხოვლეში, წინარეხში, კოდისწყაროში... ) მწყობრში ჩადგა ახალი სასკოლო შენობები. ამგვარმა სიახლემ არა მარტო ადგილობრივი პედაგოგები და მოსწავლეები გაახარა, არამედ სოციალურ ქსელში ბევრი კეთილისმსურველი მიესალმა სკოლების გახსნის ფაქტს და ისეთი ფოტოები დაურთო, კარგ რეკლამას რომ მიესადაგება.



საგანგებო ყურადღება ასეთ გარემოებას მივაქციეთ:

ყველა სკოლა აღჭურვილია ტიპიური დახურული სასპორტო დარბაზით, ანდა, ღია მოედნითა და არენით (საუკეთესო შემთხვევაში ორივეთი ერთად)!

როგორც იტყვიან: ჰა, დარბაზები და მოედნები თქვენ, სპორტის პედაგოგებო, და, ჰა, ბურთი და შესანიშნავი შანსი, სპორტზე შეყვარებულო სოფლის გოგო-ბიჭებო!

აბა, როგორ არ გავიხსენოთ, რომ სწორედაც შესანიშნავი სასპორტო ობიექტები გააჩნია სოფელ თვალადში სამიოდე წლის წინ გახსნილ სკოლასაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადღეისოდ,

გაგრძელება. გვ-8.

## ფეხბურთის ამბები

# მუნიციპალური პირველობა მასტერლიგის ეგიდით

* სექტემბრის მეორე დეკადიდან დაიწყო და თვის ბოლომდე გასტანს მუნიციპალური პირველობა მინიფეხბურთში (7:7-ზე). მასში კასპის უბნებისა და სოფლების 10 გუნდი გამოდის. ისინი 2 ქვეჯგუფში გადანაწილდნენ და ერთ წრედ იასპარეზეს.

"ა" ჯგუფში წარმატებას მიაღწია კასპის "გენერალმა", რომელმაც ოთხივე მეტოქეს აშკარა უპირატესობით მოუგო, გაიტანა ყველაზე მეტი და თავის კარში მიიღო ყველაზე ნაკლები ბურთი. ხოლო "ბ"-ში — შედარებით თანაბარი სიძლიერის გუნდების მეტოქეობაში 2-3 აცხადებდა პრეტენზიას ლიდერის პოზიციაზე.

I ეტაპის შემდეგ გუნდებმა ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს. საქართველოს ფეხბურთი 7-7-ის ასოციაცია "მასტერლიგის" ანალოგიური ტურნირები ყველა მუნიციპალიტეტში ეწყობა, გამოვლინდებიან მხარეების ჩემპიონები და ისინი დეკემბერში თბილისში შეიკრიბებიან ფინალურ ეტაპზე.




## "კასპი – 1936"-ის წარუმატებელი სტარტი

* შარშანდელ ნოემბერში ახალგახსნილ კასპის ცენტრალურ სტადიონზე წლევანდელი აგვისტოდან პირველ ოფიციალურ მატჩებს მართავს კასპის საფეხბურთო კლუბი "კასპი – 1936". წესისამებრ, როგორც ახალბედა და დებიუტანტი გუნდი, იგი გამოდის რეგიონული პირველობის მე-5 ლიგაში, სადაც მის ჯგუფში ასპარეზობს თბილისის 4, გორის 3, სოხუმის 2, ასევე, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, აჩაბეთისა და აწყურის გუნდები, სულ — 14. კასპელი ფეხბურთის გულშემატკივრების გულდასაწყვეტად, ჩვენმა გუნდმა სტარტი წარუმატებლად აიღო. საკმარისია



ითქვას, რომ მათ ზედიზედ 5 მატჩი წააგეს, მათ შორის დიდი ანგარიშით შინ გამართული თამაშები. მის აქტივში მხოლოდ გატანილი 5 ბურთია, მაშინ, როცა ხუთჯერ ამდენი საკუთარ კარში გაუშვა და ამიტომ გათამაშების ცხრილში "ფსკერამდე" დაეშვა. ... და, მაინც, ვიქონიოთ იმის იმედი, რომ წლევანდელ საშემოდგომო ერთწრიან სეზონს გუნდი მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენებს, შემადგენლობას დააბალანსებს, ფიზიკურად მოძლიერდება და საგაისოდ რა იქნება და როგორ, დრო გვიჩვენებს. მიმდინარე სეზონის შედეგები, ცხადია, არც გუნდის მოთამაშეებს აკმაყოფილებს და არც კასპელ გულშემატკივარს, მაგრამ, რომ იტყვიან, მათ თავს ზემოთ ძალა არ შესწევთ, ჩვენ კი — ხსნა!

## კასპელი ფეხბურთელი გოგონა — გორის გუნდში

დიახ, კასპელი 16 წლის ეთერ სულაშვილი, რომელიც ქალაქის №2 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა, თამაშობს ქ. გორის გოგონათა საფეხბურთო კლუბის — "გორი - იუნაიტედის" შემადგენლობაში. თანაც, საკმაოდ წარმატებითა და შედეგიანად: თითქმის არც ერთ მატჩს არ ტოვებს ისე, რომ მოედნიდან უგოლოდ გამოვიდეს: 7 ტურის შემდეგ ეთერი 15 გატანილი ბურთით ერთპიროვნულად ლიდერობს საქართველოს საფეხბურთო პირველობას ქალთა შორის, სადაც ქვეყნის მასშტაბით ჩაბმულია 14 გუნდი. აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ 5 სექტემბერს "გორი - იუნაიტედმა" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა არა საშინაო მოედანზე, არამედ... კასპში! იმ თამაშს უამრავი მაყურებელი დაესწრო. ეთერიმ უდიდესი კმაყოფილება მიანიჭა მშობლიური ქალაქის ყველა გულშემატკივარს, ვინც მას პირადად იცნობდა, ანდა, ახლა გაიგო პირველად მისი ვინაობა: დიახ, კასპის სტადიონზე ჩვენებურმა გოლეადორმა გოგონამ "პოკერი" გაიფორმა და თავის გუნდს "მშრალად" (4:0) გაამარჯვებინა. ... და კიდევ ერთი, ეთერ სულაშვილი გახლავთ საქართველოს 17-წლამდელი გოგონების ნაკრების თავდამსხმელი და მის აქტივში საერთაშორისო შეხვედრებსა და ტურნირებში გატანილი რამდენიმე გოლია. გზა დავულოცოთ მას დიდი ფეხბურთისაკენ!

# ვინ ვინ არის მუნიციპალურ სპორტში

## ბადრი ჯანიაშვილი

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტის დაწესებულებების გაერთიანებას სათავეში ჩაუდგა ბადრი ჯანიაშვილი – ვეტერანი მოჭიდავე: სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

ბადრი ჯანიაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 2 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე (№2394).

ბადრი ჯანიაშვილი დაიბადა 1972 წლის 23 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ზემო ჩოჩეთში.

განათლება:

1989 წელი – დაამთავრა კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლა, 1995-1998 წლები – დაასრულა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია (სამართალმცოდნეობის სპეციალობით).

სპორტული კარიერა და მიღწევები:

მსოფლიო პირველობები: 1997 წლის ჩემპიონი (ქ. თბილისი), 1996 წლის ვიცე-ჩემპიონი (ქ. ტოკიო, იაპონია) და 2-გზის მესამე პრიზიორი (1993, ქ. ომსკი, რუსეთი და 2002, ქ. პანამა, პანამა);

არის 1997 წლის მსოფლიო სტუდენტთა ჩემპიონატის გამარჯვებული (ქ. ნოვი-სადი, იუგოსლავია).

ევროპის პირველობები: 1992 წლის ჩემპიონი (ახალგაზრდებს შორის, ქ. კიევი, უკრაინა), 1996 წლის ვიცე-ჩემპიონი (ქ. არანჟელოვკა, იუგოსლავია) და 2003 წლის მესამე პრიზიორი (ქ. ალბენა, ბულგარეთი).

საქართველოს პირველობები: მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში (1988-2002 წლების განმავლობაში) და ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (1997).

აღიარება და დაფასება:

საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრებ(ებ)ის შემადგენლობაში ირიცხებოდა 1986-2004 წლების მონაკვეთში, ანუ 18 წლის განმავლობაში; ქართული სპორტის ისტორიაში ავტორია საკმაოდ იშვიათი მიღწევისა – მსოფლიო ჩემპიონატებზე სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვა სამ წონით კატეგორიაში (ოქრო – 57 კგ, ქ. თბილისი; ბრინჯაო – 62 კგ, ქ. ომსკი და 68 კგ, ქ. პანამა); ამასთან, ორივე უმაღლესი დონის შეჯიბრებებზე, როგორიცაა, ევროპული და სამსოფლიო დონე, იდგა საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე.

კასპის სპორტის მრავალწლიან ისტორიაში ბადრი ჯანიაშვილი რიგით მეორე მოჭიდავეა (1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი იოსებ მალალაშვილის შემდეგ), ხოლო საქართველოს სამბოს ისტორიაში – მეთერთმეტე, ვისაც მსოფლიო ჩემპიონობა მოუპოვებია (უფროსთა ასაკობრივ ჯგუფში).

ბადრი ჯანიაშვილის ბიოგრაფია შეტანილია 1989-99 წლების ბიოგრაფიულ ცნობარში "ვინ ვინაა საქართველოში".

მისი ფოტო, როგორც მსოფლიო ჩემპიონისა, გამოფენილია ქართული სპორტის მუზეუმში (ქ. თბილისი).

სამწვრთნელო საქმიანობა და დამსახურება:

აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, 2005 წლიდან 2011 წლამდე საქმიანობდა სამბოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების უფროსი მწვრთნელის პოსტზე.

1997 წელი – პირადი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

2010 წელი – დასახელდა საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად ჭიდაობა სამბოში.

2011 წელი – საქართველოს პრეზიდენტის წინა წლის განკარგულების საფუძველზე, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით – საქართველოში სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის, ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის, ასევე, ნაყოფიერი სპორტული და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ახალი სასპორტო მოედნები და დარბაზები

დასასრული. დასაწყისი გვ-7.

მეტადრე აქტუალურად გვესახება საკითხი: რამდენად არის დატვირთული, გამოყენებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასპორტო მოედნები?

როგორია მათი მარგიქმედების სარგებელი?

მიგვაჩნია, რომ სასკოლო სპორტი დიდი რეზერვების შემცველი სფეროა და სოფლის ახალგაზრდობის მასში მასობრივი ჩართულობის აუცილებლობა მეტ განსჯა-განჩხრეკვას საჭიროებს.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება**



გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გინდათ, გაიგოთ ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

# ღირსეული კაცი

ამბობენ – ადამიანს მისი გავლილი ცხოვრების გზა სახეზე ეტყობაო. ისიც გამიგია, რომ ცხოვრების გზა მოულოდნელობებით სავსეა, არასოდეს არ არის სწორხაზოვანი, რადგან უამრავი მოსახვევია, აღმართ-დაღმართია, საცდური და განსაცდელია, მთავარია კაცის სახელით იარო ბოლომდე.

24 წლის დაოჯახებული ვაჟკაცის პირველი დიდი საბრძოლო გამოცდა 1978 წელს ავღანეთში, ყველაზე ცხელ წერტილში – ყანდაღარში მოხდა, როცა ქართულ დესანტთან ერთად შეიყვანეს, ასმეთაური გახლდათ, შემდეგ იყო ირანის საზღვარზე, სასაზღვრო ნაწილის უფროსად.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღიდან იბრძოდა, მისი რკინიგზის ბატალიონი კინდღში, მდინარე ფსოუზე გია ყარყარაშვილთან ერთად გავიდა. უამრავი ჭრილობების მიუხედავად მან განაღმა მდინარე ენგურის ხიდი და ლიანდაგი, სამტრედიის ხიდიც. სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე მძიმედ დაიჭრა თავში, ფოთში, გემზე უკრაინელებმა გაუკეთეს ოპერაცია.

არც 2008 წლის აგვისტოს ომში დარჩენილა სახლში – საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა რუსების მიერ დანაღმული კოწახურას ხიდი, რკინიგზა და კასპის დასახლებული პუნქტიც, მისი უშუალო



ხელმძღვანელობით ერთ ღამეში აღდგა ბომბებით დაზიანებული გადასასვლელი რკინიგზაზე მდინარე ლეხურას გვერდით – "ჩემი ვალი იყო ამის გაკეთება და არც მიფიქრია სხვა რამეზეო" – უთქვამს მრავალჯერ.

თამაზ ჭონიაშვილი 65 წლისა გახდა, ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საქართველოს საპატიო რკინიგზელს, საქართველოს ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის მუდმივ წევრს, ავღანეთის ვეტერანთა კავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, საქართველოს ოფიცერთა კავშირის ღირსეულ წარმომადგენელს. იგი დაჯილდოებულია საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მადლობის წერილით, "რკინიგზის ვეტერანის" ნიშნით და ყველაზე მთავარი – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის (ე. შევარდნაძე) 1993 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის" აფხაზეთის ომში გამოჩენილი გმირობისათვის და საქართველოს პრეზიდენტის (მ. სააკაშვილი) 2009 წლის 7 აგვისტოს №544 განკარგულებით მას გადაეცა "ღირსების ორდენი". მის პირად საქმეში არის საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალ მეომართა საკავშირო კავშირის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-მაიორ რ. აუშევის მიერ ხელმოწერილი საპატიო მოწმობა "სამახსოვრო მედლით" დაჯილდოების თაობაზე.

მინდა მივულოცო თამაზს ცხოვრების ლამაზი თარიღი! ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული, ბედნიერება და ის ურყევი მოტივაცია, რომელიც არასოდეს აკლდა სამსახურებრივი საქმიანობის არც ერთ პოზიციაზე. ზურგის ქარი არ მოგკლებოდეს და სახეზე ღიმილი.

გაიხარე ჩემო თამაზ, ჩვენო ურთგულესო და საყვარელო მეგობარო, ჩვენო დიდო პოლკოვნიკო და ღირსეულო ადამიანო!

უამრავი მეგობრის სახელით ტარიელ ბეგლარაშვილი.



ვიმეგობროთ!

ძვირფასო პატარებო, კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე რაზე სასაუბროდაც მშობლებს სხსულ არ სცალიათ...

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, მეზღაპრეებზე...

მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს. შეხვედრამდე!

**ვიმეგობროთ! ვიმეგობროთ! ვიმეგობროთ!** ვიმეგობროთ!

,,კეხურა,,

## დავით გურამიშვილი — 315

# "გურამიშვილობის" არქივიდან ...

"მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსა"... გორისუბანი საგურამოშია... იქ დაჭაბუკებული დავით გურამიშვილის უკანასკნელი ნაფეხურები კი ლამისყანაში დარჩა... ხოლო წყაროს, საიდანაც მოთარეშე ლეკებმა ამ სოფლის სიძე გაიტაცეს, ლამისყანელებმა გურამიშვილის წყარო დაარქვეს.

45 წლის წინათ, 1975 წლის 27 აპრილს, ლამისყანაში აღდგენილ, ადგილნაცვალ წყაროსთან გაიხსნა დ. გურამიშვილის წყარო-მემორიალი (არქირექტორი ვაჟა ორბელაძე). სამწუხაროდ, მემორიალის მოჭირნახულეთაგან მწერლები ლევან გოთუა და გიორგი ხორგუაშვილი მარადისობაში გადავიდნენ... მათი ბედი გაიზიარა იმ ქართველ მწერალთა უმრავლესობამაც, "გურამიშვილობას" რომ დასწრებიან ლამისყანაში.

1976 წელს პირველ "გურამიშვილობას" ესწრებოდნენ ფრიად საპატიო სტუმრები ესპანეთიდან, მოსკოვიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან... გაჟღერდა "ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე ბრწყინვალე მთარგმნელის, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, პოეტ ნიკოლოზ ტიხონოვის მილოცვა. 1977 წელს "გურამიშვილობას" დაესწრო ცნობილი ლენინგრადელი პოეტი და მსახიობი, ქართულ სიტყვაზე შეყვარებული ვლ. რეცეპტერი, რომელსაც შემდეგ ოჯახშიც უმასპინძლა მეგობარმა — ლეგენდარულმა სოფიკო ჭიაურელმა. 1978 წელს ზეიმში მონაწილეობდა უკრაინის ქ. მირგოროდის დ. გურამიშვილის დღემდე ერთადერთი, ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, დავითის შემოქმედებისა და უკრაინაში ქართული ემიგრაციის გულმხურვალე მკვლევარი — ლუდმილა როსსოხა. ჩვენი პირადი მეგობრობა ორმოცდასამი წლისაა. 1980 წელს დავითის დაბადებიდან 275 წლისთავი იუნესკოს ფარგლებში მაღალ დონეზე აღინიშნა საქართველოში, უკრაინასა და მოსკოვში. ლამისყანას კი ესტუმრა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მწერალთა ჯგუფი სურამიდან, სადაც გაიმართა ლესია უკრაინკას ხსოვნის მიტინგი. დელეგატთა შორის იყო სამი ცნობილი უკრაინელი პოეტი — პავლო ზაგრებელნი (უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ვიტალი კოროტიჩი და მიხ. შევჩენკო. მ. შევჩენკოს საქართველოში ამ პირველ სტუმრობას გულთბილი ლექსი მიუძღვნა ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა ნანა ღვინეფაძემ, რომელმაც ადრესატი მიიწვია აწყურშიც — უკრაინული დიასპორის შევჩენკოებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელში. ამავე დელეგაციაში მონაწილეობდნენ ცნობილი პოეტები — აფხაზი მუშნი ლასურია და აზერბაიჯანელი ნარიმან ჰასანზადე (მისი ლექსი დ. გურამიშვილზე აზერბაიჯანულიდან ბრწყინვალედ თარგმნა გაზეთ "წიგნის სამყაროს" რედაქტორმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა).

ტრადიციულად "გურამიშვილობა" იმართებოდა სექტემბრის მეორე კვირა დღეს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი, 1992 წელს "გურამიშვილობა" დაბრუნდა პირველ ნოემბერს. იუნესკოს ეგიდით ამ წელს ფართოდ აღინიშნა დ. გურამიშვილის გარდაცვალების 200 წლისთავი. უკრაინაში, მირგოროდში კი დავითის ხსოვნის ტრადიციულ დღეს, პირველ აგვისტოს, პოეტის საფლავზეც და ქ. მირგოროდის კულტურის სასახლეშიც ღირსეულად აღნიშნეს ეს თარიღი. საქართველოდან მწერალთა ჯგუფთან ერთად ამ ზეიმს მეც ვესწრებოდი ჩემი ოჯახით. იქ, პოეტის საფლავზე, ობელისკთან, მირ-



**ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი, რომელზეც გამოსახულია დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი**

გოროდელმა მხატვარმა და ხატმწერმა ვიქტორ ბრიკულეცმა ლამისყანის მუზეუმისათვის საჩუქრად გამომატანა ესკიზი თავისი ცნობილი ნამუშევრისა "გურამიშვილის შეხვედრა ზუბოვკელ ქალთან", ხოლო ხსოვნის დღის სრული ფოტოკომპლექტი, რომელიც ფირთან ერთად შევიძინე მირგოროდელი ფოტორეპორტიორის — ვლ. კრაპივასაგან, ესკიზთან ერთად საჩუქრად გადავეცი ლამისყანის მუზეუმს. საქართველოში "გურამიშვილობის" ფოტო-მატიანე შემოგვინახეს საქტელევიზიის სტუდია "მაცნეს" ფოტორეპორტიორმა თამაზ ქიქავამ, გაზეთ "განთიადის" ვეტერანმა ფოტოგრაფმა ვლ. მჭედლიშვილმა (მ. მერებაშვილთან ერთად), ფოტომოყვარულებმა თამაზ ნავროზაშვილმა და ამირან ტალახაძემ.

სულ მხოლოდ ორმოცდახუთი წლისაა გრანიტის "ფურცლები" გადაშლილი წიგნის იმიტაციით, დღეს ორბელიანების სასახლე-მუზეუმთან რომ "ჩასძინებიათ".

დავით გურამიშვილს (1705-1792) კი წელს დაბადებიდან 315 წელი შეუსრულდა. მართალია, წყარო დავითის დაბადებამდეც არსებობდა და იქნებ მათუსალას ხნისაც იყო, მაგრამ გრანიტის წყარო-წიგნი ხომ ჩვენს თვალწინ "დაბერდა" მრავალ მიზეზთა გამო.

მხოლოდ ხსოვნაა უკვდავი, უასაკო და მარად უბერებელი.

დავითი ნახევარ საუკუნეზე დიდხანს ცხოვრობდა უკრაინაში, მის ხსოვნას ორი ქვეყანა ინახავს.

თამარ გაბოძე.

# ომის ვეტერანთა მადლობა მამუკა ბერიძეს

კასპში მოქმედი სამედიცინო ცენტრი შპს "მარიმედი"-ს სტუმრები კასპელი ომის ვეტერანები იყვნენ. ვეტერანები კლინიკის ხელმძღვანელს მამუკა ბერიძეს მადლობის გადასახდელად და სიმბოლური საჩუქრების გადასაცემად ეწვივნენ.

მამუკა ექიმი ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ვეტერანების მუდმივი თანამდგომია და მათ ყველა სახის სტომატოლოგიურ მომსახურებას უფასოდ უწევს.

ვეტერანების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის, თითოეული ვეტერანის სახელით მამუკა ბერიძეს მადლობას ვუხდი და წარმატებებს ვუსურვებ - აღნიშნა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში გოჩა კობაურმა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ასევე უხდის მადლობას კლინიკის ხელმძღვანელს, კვალიფიციურ და გულისხმიერ ექიმს მამუკა ბერიძეს.



**კასპი 2020 საგზაო ინფრასტრუქტურა**

# სოფელ ბარნაბიანთკარის გზის მოასფალტება დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარნაბიანთკარში მისასვლელი გზის წინამოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ მოასფალტების პირველი პირის დაგება დაიწყო.

არსებული გზის სიგრძე 1 955 გრძივი მეტრია, სამუშაოების ღირებულება კი 1 099 517 ლარი.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სამუშაოები 2 ეტაპად განხორციელდება - 2020 წელს შესრულდება 608 079 ლარის სამუშაოები, ხოლო 2021 წელს 491 438 ლარის. სამუშაოებს შპს "გზები და კეთილმოწყობა" ახორციელებს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლებში მისასვლელი გზების მოწყობას.



მერია სამუშაოებს გააგრძელებს ვიდრე ყველა სოფელს არ ექნება კეთილმოწყობილი მისასვლელი - აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა.

## შეუცნობელი

*ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.*

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მასალის გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი."

ყველა აუხსნელი მოვლენის უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, ველოდებით თქვენს გამოხმაურებას.

გამოგვეხმაურეთ!

## "მაკნატუნა"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამახსოვრებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.



# გილოცავთ!

კასპის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემის ყველა თანამშრომელს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს გულითადად ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გამოვთქვამთ იმედს, რომ ახალი სიძნელეების მიუხედავად ყველაფერი კარგად იქნება.

სამშობლოს სჭირდება თქვენი შრომა და წარჩინებული სწავლა!

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.






შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები.















გამოგვიხმაურეთ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით თავად მკითხველს გააცნონ საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო, 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯაროდ გაადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ლიდერობითი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გსურთ...

გააცანით თანარაიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცნიერები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ ეს გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი.

გამოგვიხმაურეთ!

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვემო გომის საჯარო სკოლის პედაგოგი (ყოფილი დირექტორი) ვასილ მამულაშვილი და თანაუგრძნობს სკოლას და ოჯახს.**

## გამოსათხოვარი

## ვასილ მამულაშვილი



რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი. დადის, დათარეშობს საწუთროს შარაზე.

არავინ იცის თუ ვის სად ჩაუსაფრდება. ჩვენო ვასიკო, ჩვენო ერთგულო ადამიანო, ასე უეცრად, თითქოს თვალის დახამხამებაში წახვედი, გაქრი. უფალმა საუფლოში გიხმო. 29 ოქტომბერს გისრულდებოდა 60 წელი, მაგრამ არ დაგცალდა და ბედისწერამ მარადისობაში წაგიყვანა.

ძალიან ძნელია წარსულში ლაპარაკი ადამიანზე, რომელთანაც უამრავი თანამშრომლობის საინტერესო წელი გვაკავშირებს. ვასილ მამულაშვილი 1993 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლად. 1993-2007 წლამდე იყო ამავე სკოლის დირექტორი.

ეს სასწავლო წელი კი უშენოდ, მტკივნეულად დაიწყო, ვასიკო...

მოულოდნელად დაგვტოვე და დაგვწყვიტე გული ყველას. მოგვენატრება შენი ხმაურიანი გაკვეთილები, მოსწავლეთა გამარჯვებებით განცდილი სიხარული. შენ აქტიურად იყავი ჩართული სასკოლო საქმიანობაში. ენერგიის დაუზოგავად ემსახურებოდი მშობლიურ სკოლას.

იყავი ერთგული მეგობარი. თითქოს ჩვენი სკოლის ამ „ ბებერმა" შენობამაც გაიგო შენი გარდაცვალება, დადუმდა, აღარ გაგვიღო კარი... ბოლო ზარი შენი გაცილებისას დაირეკა... ვწუხვართ სკოლის მთელი კოლექტივი, შენ მუდამ იქნები ჩვენი ტკივილი...

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ვასილ!

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის თანამშრომლები.

## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად.

თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ განვლილი ცხოვრების ამსახველი, ისტორიის შემნახავი, წინაპრების ცხოვრების ამსახველი საინტერესო და სახალისო ფოტოები! ერთად გავიხსენოთ წარსული.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2020 წლის 10 სექტემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ²; მთლიანად გამოყოფილი ფართობის ყოველი ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760 სმ² A 3 ფორმატის ჩარჩოს ღირებულებაა 368 ლ (1სმ²-40 თეთრი).

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76